გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2020-2021 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

ბაღდათის მუნიციპალიტეტი

1. **პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:**

პრაქტიკის დასახელება: ბაღდათის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის ინოვაციური მიდგომით კომპეტენციებისა და უნარების განვითარების ხელშეწყობა.

ახალგაზრდული სივრცე „GAME ზონა“ - ინოვაციური, ახალგაზრდული სივრცის მოდელია, რომელიც ბაღდათის მუნიციპალიტეტში არასამთავრობო ორგანიზაციის სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბისა „თაობათა დიალოგი“ და ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის პარტნიორობით შეიქმნა, ახალგაზრდების გააქტიურებისა და ჩართულობის გაზრდისათვის.

ახალგაზრდული სივრცე „GAME ზონა“ მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 14-დან 29-წლამდე ახალგაზრდებს ხელს უწყობს პიროვნული უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების განვითარებაში, გააქტიურებასა და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვაში.

“Game ზონა“ 3 ძირითადი მიმართულებით მუშაობს:

1) ახალგაზრდებისათვის მუდმივად ხელმისაწვდომი ალტერნატიული თავშეყრის, გართობისა და დასვენების სივრცე;

2) კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევების განვითარების პლატფორმა, რომელიც GAME ზონაში ახალგაზრდული მუშაკების მიერ ჩატარებული თამაშებითაა შესაძლებელი;

3) ინიციატივების წახალისების, განვითარებისა და მხარდაჭერის პროგრამა.

ინიციატივა ბაღდათის მუნიციპალიტის გარდა დაფინანსდა „ახალგაზრდობის სააგენტო“-ს მიერ, რომელიც დღეს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროს ექვემდებარება.

2. **თემატიკა:**

(გამოცხადებული საკონკურსო თემის დასახელება)

ახალგაზრდების გააქტიურების, მობილიზაციის და ჩართულობის ხელშეწყობა;

3. **პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:**

(მუნიციპალიტეტი, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, ადგილობრივი მოსახლეობა).

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია;

სამოქალაქო ორგანიზაცია ა.(ა).ი.პ. სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“ (RICDOG)

4. **მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:**

(ძირითადი/ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ: დასახელება, გეოგრაფიული მდებარეობა, მოსახლეობის რაოდენობა, და ა.შ. მაქსიმუმ ნახევარი გვერდი)

ბაღდათის მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს დასავლეთ ნაწილში, იმერეთის დაბლობზე, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს დამაკავშირებელ, ქუთაისი-ბაღდათი-ბენარის საავტომობილო გზაზე. ბაღდათი ესაზღვრება რეგიონის ცენტრს (ქ. ქუთაისს) და 6 მუნიციპალიტეტს, აქედან 4 მათგანთან დაკავშირებულია შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებით. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ბაღდათი, რომელიც საქართველოს დედაქალაქიდან – თბილისიდან დაშორებულია- 220 კმ-ით-(3 სთ და 30 წუთის სავალი დროით), იმერეთის რეგიონის ცენტრიდან, ქალაქი ქუთაისიდან 25 კმ-ით(0,5 საათი სავალი დროით) , ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან 44 კმ-ით(37 წუთი სავალი დროით). უახლოესი რკინიგზის სადგურიდან 19 კმ-ით (19 წუთი დროით). მუნიციპალიტეტის ტერიტორია უმეტესად მთაგორიანია, ზღვის დონიდან 30-1908 მ-ზეა, ფართობი — 815 კვ. კმ-ია, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია 82.22 კვ.კმ. ბაღდათის ტერიტორიის 67,5% ტყით არის დაფარული. ჰავა ნოტიო და სუბტროპიკულია. იცის ზომიერად ცივი ზამთარი და შედარებით ცხელი ზაფხული. მუნიციპალიტეტი ადვილად მისადგომია როგორც სარკინიგზო, ასევე, საავტომობილო ტრანსპორტით.

ბაღდათის მუნიციპალიტეტი ტერიტორია დაყოფილია 15 ტერიტორიულ ერთეულად, ერთი ქალაქ - ბაღდათი და 25 სოფელი, აქედან ერთი თემი - მაღალმთიან დასახლებათა სტატუსით.

მოსახლეობა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2021 წლის პირველი იანვრის მონაცემებით შეადგენს - 18400. ქალაქად ცხოვრობს 17%, ხოლო 83% - სოფლად. აქედან ახალგაზრდები 626 ცხოვრობს ქალაქად, ხოლო 3229 - სოფლად.

5. **მუნიციპალიტეტის მახასიათებლები**:
(გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე)

- **შიდა ფაქტორები** - იმ გარემოებების აღწერა, რომელიც გავლენას ახდენს საუკეთესო პრაქტიკის კონკურსში წარდგენილი პროექტის განხორციელებაზე, მაგ.: საჯარო მოხელეების კვალიფიკაცია, ფინანსური რესურსი, ტექნიკური შესაძლებლობები და ა.შ.;

- მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მაღალი მზაობა. სტრატეგიის დოკუმენტი, სადაც განსაზღვრულია ახალგაზრდების ხელშეწყობა და ადგილზე დაკავება. მაღალი კვალიფიკაციის საჯარო მოხელეები, რომლებიც ჩართული იყვნენ, როგორც პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებაში, ასევე წინასაპროექტო კვლევების მომზადებაში. „ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსების“ (05 03) ხარჯებიდან გამოყოფილი თანხა 7 000 (შვიდი ათასი) ლარი. მუნიციპალიტეტში არსებული შენობა ნაგებობის გამოყოფილი ფართი და კვადრატულობა. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა სახის ინსტრუმენტები, სპეც. ტექნიკა და აპარატურა; მუნიციპალიტეტში მცხოვრები აქტიური ახალგაზრდები;

- **გარე ფაქტორები** - ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა, ასევე, მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე გავლენის მქონე სხვა ფაქტორები (მნიშვნელოვან სატრანზიტო გზასთან სიახლოვე, მსხვილ საერთაშორისო პროექტში ჩართულობა და ა.შ.), რომლებსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა პროექტის განხორციელებაზე;

- ქვეყნის ახალგაზრდული პოლიტიკა. საერთაშორისო და ქვეყნის შიგნით მოქმედი პროექტები ახალგაზრდული მიმართულებით. საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერა. რეგიონში მოქმედი ძლიერი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ ახალგაზრდული მხარდაჭერის მიმართულებით.

6. **პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:**
(მაქსიმუმ ერთი გვერდი. მნიშვნელოვანია, რომ შინაარსი მოიცავდეს შემდეგ სავალდებულო საკითხებს)

- **გამოწვევა** - პრობლემის მნიშვნელოვანი გარემოებების მითითება;

ახალგაზრდული სივრცის „GAME ზონა“ შექმნა რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორის არსებობით იყო გამოწვეული:

1) საერთაშორისო ახალგაზრდული ორგანიზაცია „World Vision“-მა 2018 წელს ჩაატარა ახალგაზრდული საჭიროებების კვლევა, რომელზე დაყრდნობითაც ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადგილობრივმა თვითმმართველობამ დაწერა “ბაღდათის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული სტრატეგია 2019–2022”. მოცემული პროექტი მიმართულია პრობლემის მოგვარების მიზნით, რომელიც ზემოთ აღნიშნულ კვლევაზე და სტრატეგიაზე დაყრდნობით ყველაზე მეტად აწუხებთ ბაღდათის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებს, კერძოდ: ბაღდათის მუნიციპალიტეტში ისეთი სივრცეების ნაკლებობა, რომელიც ახალგაზრდებს მისცემთ გართობის, სხვადასხვა უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების განვითარების საშუალებას. აღნიშნული პრობლემის შედეგად კი ახალგაზრდებს აქვთ ნაკლები შესაძლებლობა რეალიზდნენ და ინტეგრირდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, შესაბამისად ნაკლებია მოტივაცია ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
2) პრობლემის მიზეზებად განვიხილეთ შემდეგი ფაქტორები: 1)ახალგაზრდული სივრცეების დეფიციტი, სადაც ახალგაზრდებს შეეძლებოდათ საკუთარი თავის რეალიზაცია და სოციალიზაცია; "იმერეთის ყველა მუნიციპალიტეტში პრობლემაა ისეთი სივრცეების სიმწირე ან სულაც არარსებობა, რომლებსაც ახალგაზრდები გართობასთან ერთად, კომუნიკაციისა და არაფორმალური განათლების მისაღებად გამოიყენებენ.”(ფრიდრიხ ებერტი2020). კონკრეტულად ბაღდათის მუნიციპალიტეტში ”ახალგაზრდების აზრით, მუნიციპალიტეტში მათთვის ახალგაზრდული სივრცის არარსებობა ყველაზე დიდი პრობლემაა. არ არსებობს არც მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი ახალგაზრდული სივრცე, სადაც ახალგაზრდები შეძლებდნენ სოციალიზაციას. ”(world-vision2018). 2)მრავალფეროვანი არაფორმალური ახალგაზრდული აქტივობების ნაკლებობა, რომელიც იქნებოდა ახალგაზრდების საჭიროებებზე და ინტერესებზე მორგებული რაც მათ მისცემთ მოტივაციას უფრო აქტიურები იყვნენ საზოგადოებაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესებში. რამდენადაც ახალგაზრდების ჩართულობა სხვადასხვა პროცესში დაბალია, როგორც თბილისში, ასევე იმერეთის რეგიონში, არსებითად მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების კომპონენტის გაძლიერება და კონკრეტული აქტივობების დაგეგმვა სამოქალაქო ჩართულობის ფორმების, აქტივიზმის შესაძლო შედეგისა და ახალგაზრდების როლის შესახებ ცნობიერების ამაღლების თვალსაზრისით."(ფრიდრიხ-ებერტი2020). ბაღდათის მუნიციპალიტეტში განხორციელებული ახალგაზრდული აქტივობები ნაკლებად არის მიწოდებული ახალგაზრდებისთვის საინტერესო და მრავალფეროვანი არაფორმალური განათლების მეთოდებით. “ახალგაზრდების უმეტესობის აზრით მუნიციპალიტეტი ნაკლებად ითვალისწინებს ახალგაზრდების ინტერესებს. მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებული აქტივობების რაოდენობა შეზღუდულია და ერთფეროვანი. იგი

შემოიფარგლება ფეხბურთში სოფლებს შორის შეჯიბრების ჩატარებით და რამდენიმე სახალხო დღესასწაულის ორგანიზებით, რომელიც მთელი მუნიციპალიტეტის მოსახლეობაზეა ფოკუსირებული.(world-vision2018).

აღნიშნული ფაქტორებისა და ამ მიმართულებით არსებული გამოწვევების საპასუხოდ, მუნიციპალიტეტმა 2020 წელს, არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით გადაწყვიტა შეექმნა და ჩართულიყო ახალგაზრდული სივრცის შექმნის პროცესში.

- **წარსული გამოცდილება** - როგორ ხდებოდა გამკლავება აღნიშნულ პრობლემასთან და რა უშლიდა ხელს მის აღმოფხვრას;

2020 წლამდე, როგორც ზემოთ მოყვანილი კვლევიდან ამონარიდიდანაც ჩანს მუნიციპალიტეტი მცირე რესურსებიდან და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე, ვერ ახერხებდა ახალგაზრდებისთვის ისეთი სერვისების, პროექტების, ღონისძიებების თუ გრძელვადიანი პროგრამების შეთავაზებას, რომლებიც უზრუნველყოფდა არსებული გამოწვევების გადაჭრას.

მუნიციპალიტეტი საკუთარი შესაძლებლობებისა და კომპეტენციების ფარგლებში ვერ ახერხებდა ისეთი მდგრადი და სისტემური მექანიზმების ან/და პროგრამების/პროექტების განხორციელებას რომელიც ზემოთ მოყვანილი გამოწვევების გადაჭრაზე მდგრად და მნიშვნელოვან გავლენას მოახდენდა. მუნიციპალიტეტში განხორციელებული აქტივობები არ იყო პერმამენტული, არ უზუნველყოფდა ახალგაზრდებისათვის სივრცის შექმნას და ის, ნაკლებად მასშტაბური ხასიათის იყო.

- **პასუხი არსებულ გამოწვევაზე** - მოკლე აღწერა და მიღწეული შედეგი

2020 წელს, მუნიციპალიტეტის ჩართულობით და სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბის „თაობათა დიალოგი“ ინიციატივით, „თაობათა დიალოგი“-ს გუნდმა მოამზადა საპროექტო წინადადება სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს საგრანტო კონკურსში, რათა ბაღდათის მუნიციპალიტეტში შექმნილიყო ახალგაზრდული სივრცე, რომელიც 3 ძირითადი მიმართულებით იმუშვებდა:

1) შექმნიდა ახალგაზრდებისათვის საინტერესო, ხელმისაწვდომ და თავისუფალ სივრცეს, ალტერნატიული გართობის, დასვენებისა და შემეცნებისათვის.
2) შექმნიდა სივრცეს - არაფორმალური განათლების აქტივობებისა და თამაშზე დაფუძნებული სწავლებისათვის, სადაც ახალგაზრდული მუშაკების ჩართულობით მოხდებოდა ახალგაზრდების გააქტიურებაზე, მათ კომპეტენციებზე და მხარდაჭერაზე მუშაობა.
3) შექმნიდა ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმს ადგილობრივ დონეზე.

პროექტი 2020-წელსვე დაფინანსდა და 2020-2021 წლებში განხორციელდა. მნიშვნელოვანი და აღსანიშნავია, რომ გარდა ახალგაზრდობის სააგენტოს 64 000 ლარის დაფინანსებისა, მუნიციპალიტეტმა პროექტის განხორციელებისათვის 7000 ლარი და მუნიციპალიტეტის ბაზაზე არსებული შენობა (სივრცე) გამოყო.

7. განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:
(გამოწვევის გამკლავების მიზნით გაწეული სამუშაო. გთხოვთ, პრაქტიკის აღწერისას თანმიმდევრულად მიყვეთ ქვემოთ ჩამოთვლილ პუნქტებს)

- **პროექტის შინაარსი;**

2020 წელს, მუნიციპალიტეტის ჩართულობით და სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბის „თაობათა დიალოგი“ ინიციატივით, „თაობათა დიალოგი“-ს გუნდმა მოამზადა საპროექტო წინადადება სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს საგრანტო კონკურსში, რათა ბაღდათის მუნიციპალიტეტში შექმნილიყო ახალგაზრდული სივრცე, რომელიც 3 ძირითადი მიმართულებით იმუშვებდა:

- შექმნიდა ახალგაზრდებისათვის საინტერესო, ხელმისაწვდომ და თავისუფალ სივრცეს, ალტერნატიული გართობის, დასვენებისა და შემეცნებისათვის.
- შექმნიდა სივრცეს - არაფორმალური განათლების აქტივობებისა და თამაშზე დაფუძნებული სწავლებისათვის, სადაც ახალგაზრდული მუშაკების ჩართულობით მოხდებოდა ახალგაზრდების გააქტიურებაზე, მათ კომპეტენციებზე და მხარდაჭერაზე მუშაობა.
- შექმნიდა ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმს ადგილობრივ დონეზე.

პროექტი 3 ფაზისგან შედგებოდა:

1) მომზადების ფაზა - მოხდა ახალგაზრდული სივრცის კონცეფციის შემუშავება, სივრცის რემონტი, ავეჯის დამზადება, სტურქტურისა და მუშაობის სპეციფიკის ჩამოყალიბება, შესაბამისი რესურსების მოძიება და შეძენა. პროექტის პირველ ფაზაში გადამზადდა 5 ახალგაზრდული მუშაკი.
2) ახალგაზრდული სივრცის კონცეფციის ამუშავება - მოხდა ახალგაზრდული სივრცის გახსნა, სივრცის სრული დატვირთვით ამუშავება და ახალგაზრდული საქმიანობის განხორციელება - რამაც უზრუნველყო პროექტით და სივრცის შექმნით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების მიღწევა.
3) მდგრადობის უზრუნველყოფა - რაც „თაობათა დიალოგისა“ და მუნიციპალიტეტის ერთობლივი მუშაობით იქნა უზრუნველყოფილი, ასევე შემუშავდა 2 წლიანი მდგრადობის სტრატეგია.

პროექტი 2020 წელს დაფინანსდა და 2020-2021 წლებში განხორციელდა. მნიშვნელოვანი და აღსანიშნავია, რომ გარდა ახალგაზრდობის სააგენტოს 64 000 ლარის დაფინანსებისა, მუნიციპალიტეტმა პროექტის განხორციელებისათვის 7000 ლარი და მუნიციპალიტეტის ბაზაზე არსებული შენობა (სივრცე) გამოყო.

პროექტი 9 თვიანი იყო და იგი 2021 წლის აპრილში დასრულდა, თუმცა პროექტს 2 წლიანი მდგრადობის კომპონენტი აქვს და მასზე მუშაობას მუნიციპალიტეტთან ერთად „თაობათა დიალოგი“ აგრძელებს.

ახალგაზრდული სივრცე დღესაც აქტიურ რეჟიმში, სრული დატვირთვით მუშაობს და მნიშვნელოვან გავლენას ახდესნს ახალგაზრდების კომპეტენციების განვითარების, მათი მხარდაჭერისა და გააქტიურების მიმართულებით.

„GAME ზონა“-ს მნიშვნელოვანი მიღწევაა რომ „ქალაქ ბაღდათში შეიქმნა სივრცე, სადაც მუდმივად იგეგმება სხვადასხვა ახალგაზრდული აქტივობები, არაფორმალური განათლების სხვადასხვა

მეთოდის გამოყენებით ახალგაზრდებს აქვთ შესაძლებლობა განივითარონ საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის საჭირო უნარები. სივრცეს აღნიშნული დანიშნულებით არა მარტო პროექტი და განმხორციელებელი ორგანიზაცია არამედ სხვა ორგანიზაციები თუ საინიციატივო ჯგუფებიც იყენებენ (ასეთი 3 შეხვედრა ჩატარდა გეიმ ზონაში). აღნიშნული აქტივობების შემდეგ ახალგაზრდები გახდნენ მეტად აქტიურები და ჩართულები არიან ადგილობრივი თემის განვითარებაში. ახალგაზრდებმა პროექტის ფარგლებში განახორციელეს 22 ინიციატივა, რომლებიც მათ მიერ გამოვლენილ საჭიროებებზე და საზოგადოების გამოწვევებზე იყო ორიენტირებული, განხორციელების პროცესში კი ჩართეს საკუთარი თანატოლები".

- **აქტივობათა გეგმა/გრაფიკი** (გთხოვთ წარმოადგინოთ ცხრილის სახით);

იხილეთ დანართი ბმულზე: https://docs.google.com/document/d/1uEjSb0yqMHg449K91uO2uj1UijXsxewM/edit?usp=sharing&ouid=111533316690886347003&rtpof=true&sd=true

- **პროექტის განხორციელებისათვის მიღებული/გაფორმებული გადაწყვეტილებების, ან პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტების ჩამონათვალი** (მუნიციპალიტეტის რელევანტური სტრატეგიული დოკუმენტები, განვითარების გეგმა, ბრძანებები, განკარგულებები, დადგენილებები, რეზოლუციები, შეხვედრის ოქმები, ინსტრუქციები და ა.შ.). *აღნიშნული დოკუმენტაცია თან უნდა დაერთოს განაცხადის შევსებულ ფორმას;*

აღნიშნულ დოკუმენტაცია წარმოდგენილია დანართების სახით.

- **ინფორმაცია მოქალაქეების, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების** (მ.შ. მიზნობრივი და მოწყვლადი ჯგუფების, უმცირესობების, ქალების, ახალგაზრდების, ადგილობრივი სათემო ორგანიზაციების, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების, დასახლების საერთო კრების, მერის მრჩეველთა საბჭოს, კერძო სექტორის წარმომადგენლების, საჯარო დაწესებულებების და სხვა) **ჩართულობის შესახებ;**

პროექტის განმახორციელებელი არასამთავრობო ორგანიზაციაა სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი", აღნიშნულმა ორგანიზაციამ შეიმუშავა პროექტის იდიაც და კონცეფციაც.

პროექტი დაფინანსდა სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს და ბაღდათის მუნიციპალიტეტის მიერ მიერ.

- **ინფორმაცია პროექტისთვის გამოყენებული რესურსის შესახებ. მ.შ.:**
  ა) ადამიანური რესურსი - არასაკუთარი; ძირითადად პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების განხორციელებას და ახალგაზრდული სივრცის ადმინისტრირებას ახდენდა და ახდენს „თაობათა დიალოგი"-ს გუნდი. აღსანიშნავია პრეოქტის დასრულების შემდეგ მუნიციპალიტეტის მხრიდან სივრცეში მომუშავე 1 მუდმივი კადრის დამატებაც.
  ბ) ფინანსური - მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი და დონორის დახმარება;
  ახალგაზრდული სივრცის შექმნაში სსიპ ახალგაზრდობის სააგენტორს მილიონიანი ფონდის საგრანტო კონკურსით მოპოვებული გრანტის თანხა და ასევე მუნიციპალიტეტის მხრიდან გამოყოფილი ბიუჯეტი დაიხარჯა.
  გ) გამოყენებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი;
  მუნიციპალიტეტმა პროექტისათვის გამოყო ახალგაზრდული სივრცის შესაქმნელი სივრცე კულტურის ცენტრის შენობაში.

- **ინფორმაცია იმ პარტნიორების შესახებ, ვინც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვის, ან განხორციელების ეტაპზე;**
  პროექტის განმახორციელებელი არასამთავრობო ორგანიზაციაა სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“, აღნიშნულმა ორგანიზაციამ შეიმუშავა პროექტის იდიაც და კონცეფციაც.
  პროექტი დაფინანსდა სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს და ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ.

8. მიღწეული შედეგი და დადებითი გავლენა:
(დეტალური, დოკუმენტირებული ინფორმაცია მიღწეული შედეგების შესახებ)

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტში შეიქმნა ისეთი სივრცე, რომელიც ახალგაზრდებს აძლევს გართობის, სხვადასხვა უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების განვითარების საშუალებას.

2. სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმირების გზით და ინიციატივების კონკურსის პროგრამის ფარგლებში მოხდა ადგილობრივი თვითმმართველობის ჩართვა ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული მუშაობის პროცესში.

3. შეიქმნა ისეთი ახალგაზრდული სივრცე, რომელიც აღჭურვილია სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის საჭირო რესურსებით.

4. შეიქმნა ფეისბუქის გვერდი “Game ზონა“, რომლის დახმარებით პროექტის შესახებ ინფორმაციას იღებს სამიზნე და დაინტერესებული აუდიტორია.

5. შეხვედრების და ინიციატივების კომპონენტის ფარგლებში, ახალგაზრდული მუშაკების ჩართულობით მონაწილეებმა გამოიმუშავეს პროექტით გათვალისწინებული კომპეტენციები;

6. ქალაქ ბაღდათში შეიქმნა სივრცე, სადაც მუდმივად იგეგმება სხვადასხვა ახალგაზრდული აქტივობები, არაფორმალური განათლების სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით ახალგაზრდებს აქვთ შესაძლებლობა განივითარონ საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის საჭირო უნარები. სივრცეს აღნიშნული დანიშნულებით არა მარტო პროექტი და განმხორციელებელი ორგანიზაცია არამედ სხვა ორგანიზაციები თუ საინიციატივო ჯგუფებიც იყენებენ (ასეთი 3 შეხვედრა ჩატარდა გეიმ ზონაში). აღნიშნული აქტივობების შემდეგ ახალგაზრდები გახდნენ მეტად აქტიურები და ჩართულები არიან ადგილობრივი თემის განვითარებაში. ახალგაზრდებმა პროექტის ფარგლებში განახორციელეს 22 ინიციატივა, რომლებიც მათ მიერ გამოვლენილ საჭიროებებზე და საზოგადოების გამოწვევებზე იყო ორიენტირებული, განხორციელების პროცესში კი ჩართეს საკუთარი თანატოლები.

7. ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ახალგაზრდული სივრცე მდგრადობას მარტივად აღწევს და აქვს შესაძლებლობა განვითარდეს.

8. შესაბამისი ექსპერტის ჩართულობით შემუშავდა სივრცის მდგრადობის სტრატეგია;

9. სივრცეში დაინერგა ისეთი სტრუქტურა და გეიმიფიკაციის მეთოდით ჩამოყალიბებული „თამაში“ რომელიც უზრუნველყოფს ახალგაზრდების მხრიდან კონტრიბუციის (ე.წ. საწევროს) გაწევას სივრცისათვის, რთავს მათ სივრცის განვითარების და მდგრადობის კომპონენტის მიღწევის პროცესში.

10. არსებობს შეთანხმება, რომ სტრატეგიის დოკუმენტით გათვალისწინებულ აქტივობებს “თაობათა დიალოგი” და მუნიციპალიტეტი ერთობლივად განახორციელებს პროექტის დასრულების შემდეგ.

11. ახალგაზრდული სივრცის გახსნის ღონისძიებაზე, პროექტის შესახებ დასავლეთ საქართველოში არსებული/მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაცია და სამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა უშუალოდ პრეზენტაციების გზით მიიღეს ინფორმაცია;

12. პროექტის ფარგლებში გამოყენებული და გეიმიფიკაციის მეთოდზე დაფუძნებული ახალი თამაში, საჭირო უნარების გამომუშავების მიზნით, ფართო საზოგადოების ფოკუსში მოექცა - და აღსანიშნავია, რომ ჩვენმა პარტნიორმა ორგანიზაციებმა ესტონეთიდან, სომხეთიდან და იტალიიდან ერასმუს + პროექტი დაწერეს აღნიშნული მეთოდების და მსგავსი სტრუქტურის შექმნის გამოცდილების გაზიარების შესახებ.

13. პროექტის პირველ ეტაპზე შეირჩა და გადამზადდა 5 ადამიანი, რომლებიც ჩაერთვნენ ახალგაზრდებთან მუშაობის პროცესში (ზემოთ მოყვანილი კვლევებიდან ირკვეოდა რომ მუნიციპალიტეტში და ზოგადად რეგიონში კვალიფიციური ახალგაზრდული მუშაკების დეფიციტი იყო).

14. მედიის (ტელე-რადიო, სოციალური მედია, ბეჭდური მედია) მეშვეობით 30 000-ზე მეტმა ადამიანმა შეიტყო პროექტის შესახებ - აღსანიშნავია, რომ მხოლოდ სოციალური ქსელების მონაცემები აჩვენებს აღნიშნულ ინდიკატორზე მაღალ მაჩვენებელს;

15. პროექტის ფარგლებში ახალგაზრდული მუშაკების ჩართულობით დაიგეგმა და ჩატარდა 75 კომპეტენციების განვითარების ხელშემწყობი თამაში - რომლებშიც ახალგაზრდები ჩაერთვნენ.

16. ახალგაზრდულ სივრცეში შეიქმნა ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის პროგრამა და პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 11 ახალგაზრდული ინიციატივა.

17. 3900 საინფორმაციო ბუკლეტი/ფლაერი/ბეჭდური მასალა მომზადდა პროექტის შესახებ და დაიგზავნა ბაღდათის მუნიციპალიტეტში არსებულ სამთავრობო - არასამთავრობო დაწესებულებებში და დარიგდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლებსა თუ კოლეჯში;

პროექტის ფარგლებში შექმნილი ახალგაზრდული სივრცის გავლენა ახალგაზრდებზე დიდია, მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი დაკვირვებით სივრცით სარგებლობენ ახალგაზრდები რომლებიც არაფორმალური განათლების პროცესში ნაკლებლად იყვნენ/არიან ჩართულები და მათი მსგავსი ტიპის განათლების აქტივობებთან შეხება პირველად სწორედ აღნიშნულ სივრცეში მოხდა. აღსანიშნავია წარმატების კონკრეტული მაგალითები, რომლებიც ჩვენი სივრცის აქტიურ ვიზიტორებს ეხებათ, რომლებიც თავდაპირველად არ იჩენდნენ ინიციატივებს, არ ფლობდნენ პრეზენტაციებისა და საჯარო გამოსვლების ტექნიკებს, აღნიშნავდნენ რომ მათი პირველი შეხებაა არაფორმალურ განათლებასთან და ზოგადად, სამოქალაქო ცხოვრებასთან იყო სწორედ ახლა. პროექტის მიმდინარეობის პროცესში კი მოხდა მათი ტრანსფორმაცია, როგორც აქტიურ ახალგაზრდებად. გაუჩნდათ სურვილი გაიგონ რას აკეთებს ახალგაზრდული საბჭო და გახდნენ წევრები, გამოხატეს ინიციატივები იმ პრობლემებზე რომლებსაც თავად რეგიონში (თემში) ხედავდნენ, წარსდგნენ აუდიტორიის წინაშე პრეზენტაციითა და მათ მიერ დაგეგმილ აქტივობებში ან სხვა პროექტებში ჩართეს სხვებიც. (ლანა ტყეშელაშვილი, სესილი ბიბილეიშვილი, ნინი კუბლაშვილი, გურამ ლომიძე, ზურა ბურჯანაძე, ინგა მშვილდაძე). მათი ნაწილი სტურქტურის „ვაიზერი“-ც კი გახდა.

პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის „სამეცნიერო ინტელექტუალური კლუბის „თაობათა დიალოგი“ წარმომადგენლების აზრით განხორციელების პროცესში დიდი როლი ითამაშა მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერამ. „აღნიშნულმა ერთის მხრივ გაგვიმარტივა თანამშრომლობა სასწავლო დაწესებულებებთან, ხოლო მეორეს მხრივ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მდგრადობის კომპონენტის შექმნაზე, გამომდინარე ფაქტიდან, რომ ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია ახალგაზრდული სივრცის საბაზისო საჭიროებების თანხებს (კომუნალურები, ინტერნეტი) სრულად ფარავს. შესაბამისად, „კონსორციუმს“ პროექტის განხორციელების პროცესზე ჩვენი შეფასებით დადებითი გავლენა ჰქონდა“ - ლანა თოთაძე, „თაობათა დიალოგი“-ს გენერალური მდივანი.

განსაკუთრებით მაღალია პროექტის არაპირდაპირი ბენეფიციართა რიცხვი, რომლებშიც მოისაზრება ის ადამიანები რომლებმაც პროექტისა და მეთოდების შესახებ ინფორმაცია მიიღეს საინფორმაციო კამპანიის თუ სივრცის მუშაობის მიმდინარეობისას - მშობლები, მასწავლებლები, სკოლის და კოლეჯის ადმინისტრაციის თანამშრომლები, მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები და სხვა… მნიშვნელოვანია აღინიშნოს, მათი დაინტერესება არაფორმალური განათლების მიდგომებით, თუ თავდაპირველად “თამაშით სწავლების” მეთოდების მიმართ სტერეოტიპული დამოკიდებულება ჰქონდათ მათ დიდ ნაწილს, ჩვენი დაკვირვებით დღეს ეს შეხედულება შეცვლილი აქვთ.

დამატებითი რესურსები და დოკუმენტები იხლითე ბმულებზე:

1) სოციალურ ქსელში ახალგაზრდული სივრცის გვერდის ბმული - https://www.facebook.com/baghdatigamezona/
2) ახალგაზრდული სააგენტოსათვის მომზადებული 2 ანარიში (I პრეოქტის საბოლოო ანგარიში (2021 წლის აპრილი), II პროექტის დასრულებიდან 6 თვის შემდგომ მომზადებული ანგარიში (2021 წლის ოქტომბერი)) – რომლებშიც შესაძლებელია დამატებითი ბმულების და დოკუმენტების ხილვაც.
   I.https://docs.google.com/document/d/1fWWna3w5PTqmZTmYGGgYsM48L4COl-Ek/edit?usp=sharing&ouid=111533316690886347003&rtpof=true&sd=true
   II. https://drive.google.com/file/d/1nSEEdbmiOh6eTZj_6A-maJ3imqLrVjvX/view?usp=sharing

9. მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:

(ამ ნაწილში მოცემული უნდა იყოს პროექტის განმახორციელებლის რჩევები და მოკლე გზამკვლევი იმათთვის, ვინც ეცდება აღნიშნული წარმატებული პრაქტიკა დანერგოს თავის მუნიციპალიეტეტში)

პროექტის განხორციელებისა და ახალგაზრდული სივრცის შექმნის/მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანი მიგნებები:

1) მნიშვნელოვანი და არსებითია ახალგაზრდული სივრცის ადმინისტრირებაში ჩართული იყოს კომპეტნენტური ახალგაზრდული ორგანიზაცია/ორგანიზაციები და ახალგაზრდული მუშაკები.
2) მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტის პოლიტიკა (ახალგაზრდული მიმართულებით) ორიენტირებული იყოს მსგავსი მდგრადი და სისტემური პროგრამების/პრეოქტების განხორციელებაზე, რომელიც თავის მხრივ შექმნის წარმატების მაგალითებს.
3) ბაღდათის მუნიციპალიტეტი აგრძლებს ახალგაზრდული სივრცის მდგრადობის შექმნაში მონაწილეობის მიღებას, როგორც ბიუჯეტში, ასევე შემუშავების პროცესში არსებულ „ხალგაზრდობის სტრატეგია“-შიც ასახულია შესაბამისი ნაბიჯები და გეგმებიც.
4) მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების და ახალგაზრდების კომუნიკაცია გახდა მეტად პროდუქტიული, ახალგაზრდები აქტიურად სთავაზობენ მუნიციპალიტეტის სხვადსხვა

სამსახურებს საკუთარ ინიციატივებს და იღებენ მონაწილეობას სხვადსხვა საკითხების გადაწყვეტის პროცესში.

5) ახალგაზრდულმა სივრცემ შექმნა პლატფორმრა, სადაც ერთის მხრივ მუნიციპალიტეტი მარტივად და ბარიერების გარეშე ახერხებს ინფორმაციის გავრცელებას და მიწოდებას ახალგაზრდებისათვის, ხოლო მეორეს მხრივ ახალგაზრდები საკუთარი დამოკიდებულებებისა და მოსაზრებების გაზიარებას მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან.

10. საკრებულოს როლი:

- **პროექტის/ინიციატივის დაგეგმვის, განხორციელების, შედეგების შეფასების საკითხში;**
- **საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის კონკურსში მონაწილეობისათვის პრეოქტის/ინიციატივის შერჩევის საკითხში;**
- **როგორი იყო საკრებულოში არსებული ფრაქციების დამოკიდეულება ამ პრაქტიკის/ინიციატივის მიმართ;**

პროექტის დაგეგმვის განხორციელების და მონიტორინგის ყველა საფეხურზე ჩართული იყვნენ საკრებულოდან პასუხისმგებელი პირი კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია და საკრებულოს ახალგაზრდა წევრები

პროექტის ინიციატივის შერჩევის საკითხი ინფორმაციის სახით მიწოდებული იქნა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის საკრებულოს სხდომის მიმდინარეობისას, სადაც ერთსულოვნად დადებითად იქნა შეფასებული.

11. პრატიკასთან/ინიციატივანსთან ან ამავე საკითხთან დაკავშირებული, სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა;

მუნიციპალიტეტი აქტიურად აგრძელებს ახალგაზრდული სივრცის გაძლიერებაზე მუშაობას და „თაობათა დიალოგთან“ თანამშრომლობით დაგეგმილია შემდეგი ქმედებები:

1) ახალგაზრდული სივრცის სტრუქტურის გაძლიერება;
2) ახალგაზრდული სივრცეში ადამიანური რესურსის დამატება და კომპეტენციების განვითარებაში ხელშეწყობა;
3) ახალგაზრდულ სივრცეში გაჩენილი ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა;

12. საკონტაქტო ინფორმაცია:

- **განაცხადის შევსებაზე პასუხისმგებელი პირის მონაცემები:** სახელი, გვარი, თანამდებობა, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ-ფოსტა);
  მინდია კიკნაველიძე - ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის უფროსის მ/შ, 598 54 68 80, mindiakiknavelidze@gmail.com

  თინა აბულაძე - ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის, ეკონომიკური განვითარების ადგილობრივ და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, 595 900 610, tikoabuladze25@gmail.com

- **პროექტის საკონტაქტო პირების მონაცემები**: იმ პირთა სახელი, გვარი, სამსახურებრივი პოზიცია, ტელეფონი, ელ.ფოსტა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში და, საჭიროების შემთქვევაში, შეუძლიათ პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიაწოდონ დაინტერესებულ პირებს.
  მინდია კიკნაველიძე - ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის უფროსის მ/შ, 598 54 68 80, mindiakiknavelidze@gmail.com

  ლანა თოთაძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“ გენერალური მდივანი, 597 132013, ricdog@live.com; ირაკლი თვზაძე - RICDOG გენერალური მდივნის მოადგილე - 597176969, iraklitevzadze1@gmail.com;

13. **თანდართული დოკუმენტების/მასალების სია**

გთხოვთ განაცხადს თან დაურთოთ:

ა) პროექტის განხორციელების პროცესში შექმნილი დოკუმენტები;

ბ) პროექტთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ანგარიშები (მ.შ.: მერის, საკრებულოს წევრის ანგარიშები);

გ) ადგილობრივი ეკონომიკური განვითერბის გეგმა, სტრატეგია ან სხვა დოკუმენტი, რომელიც კავშირშია პროექტის განხორციელებასთან;

გ) პროექტის განხორციელების, სხდომების, მოსახლეობასთან შეხვედრების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა ან შესაბამისი ლინკი.

https://www.facebook.com/page/402175603293222/search/?q=%E1%83%96%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90

განაცხადის მიღების ვადაა 2021 წლის 1 ნოემბერი - 3 დეკემბერი.

შევსებული განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია გთხოვთ ატვირთოთ ვებ-პორტალზე bestpractice.nala.ge

*** შენიშვნა:** განაცხადის შევსებასთან დაკავშირებით კითხვების არსებობის შემთხვევაში დაუკავშირდით ნინო ზურაბიშვილს ტელ.: 5 95 57 77 34 nzurabishvili@nala.ge ან ელენე ჩხეიძეს ტელ.: 555 23 53 33 echkheidze@nala.ge